2. By using Z. Gegechkori, J. Rogava and M. Tsiklauri method, third and fourth order accuracy monotone schemes with respect to time step for dynamical problems of von Kármán type systems were constructed;

3. For Kármán type systems the parametric derivation method representing the concrete realization of Bernshtain's Arbitrary Functions Method was developed;

4. The variational-discrete method of approximate solution of some linear 2 dim boundary value problems for bounded as cases as unbounded domains were founded and used. For coordinate functions are using the spline functions and classical orthogonal polynomials were used;

5. The alternative to perturbation Poincaré-Lyapunov's theory convergent method for linear operator equation  $(L + \varepsilon M)u = f$  (with parameter  $\varepsilon$ ), was created which gives approximate solution by inversion of  $L$   $n$ -times and applications operator  $\varepsilon M$  to the known function.

## grigal uri moZraobi s ucnaurobebi da garemordan energi i s mi Rebi s saki Txí

ა. ავტოაური

ქუთაისის ეროვნული სახწავლო უნივერსიტეტი

ფიზიკაში ცნობილია პრობლემები, რომელთა ახსნაც არ ხერხდება საყოველთაოდ აღიარებული კანონების ფარგლებში. მათ პარადოქსები ეწოდებათ. პარადოქსული პროცესებისათვის დამახასიათებელია კანონთა კონფლიქტი როდესაც, რეალური ფიზიკური პროცესისათვის, ერთი კანონის მკაცრ დაცვას მიყვავართ მეორე კანონის დარღვევასთან, ჩნდება შეგრძნება რომ ბუნების კანონები გაცილებით რთულია და არ არსებობს კანონი, რომელიც არ შეიძლება დაექვემდებაროს კრიტიკულ განხილვას.

ნაშრომის ავტორის მიერ, უკანასკნელი წლების განმავლობაში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში [5-9], ვენომენლოგიური ოერმოდინამიკის მეთოდების გამოყენებით, ნაჩვენებია რომ, ბრუნვითი მოძრაობის დროს, ენერგიის შიგა ცირკულაციის პროცესების სინქრონიზაციის შედეგად, შესაძლებელია მექანიკური ენერგიის გენერაცია გარემოს სითბული ენერგიის ხარჯზე, რაც რადიკალურად ეწინააღმდეგება თერმოდინამიკის მეორე კანონს.

მსჯელობა ამგვარი თამამი იდეების გარშემო დღის წესრიგში აყენებს საკითხებს, რომლებიც, ტრადიციული აზროვნების თვალთახედვიდან, ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნებიან. მართლაც, თუკი ადამიანს ძალუს მიიღოს მექანიკური ენერგია გარემომცველი სივრციდან. ამ ენერგიას შეუძლია ატუმბოს წყალი ზევით, გრავიტაციული ძალების საწინააღმდეგო მიმართულებით, ანუ გაკეთდეს საკომპრესორო სადგურები, რომლებიც დაჭირენიან წყალს გარემოს სითბოს ხარჯზე.

დღეისათვის ეს მართლაც ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება.

მიუხედავად ამისა, სხვადასხვა თეორიული ამოცანების განხილვისას, ჩვენ დავინტერესდით უკუმშვადი სითხის

ბრუნვითი მოძრაობის შესწავლით და დავადგინეთ, რომ, ისევე როგორც გაზის ბრუნვითი მოძრაობის დროს, [6, 8, 9], უკუმშვადი სითხის მოძრაობის დროსაც ფიქსირდება საოცარი მოვლენები.

### ლიტერატურა

1. Blekhman I. I. Synchronization of dynamic systems. Moscow: Nauka, 1971, - 896 p. (In Russian).
2. Deich M.E. Technical gas dynamics. Moscow- Leningrad: Gosenergoizdat, Issue 2, 1961, -670 p. (In Russian).
3. Loitsianski L.G. Mechanics of liquid and gas. Moscow: Head editorial board of physical and mathematical literature of Nauka Publishing, Issue 3, 1970, - 903 p. (In Russian).
4. Prigogine I., Stengers I. Order from chaos. Moscow: progress, 1986, - 432 p. (In Russian).
5. Aptsiauri A. The T-s diagram and friction. Falling of entropy at acceleration of gas in channels//Problems of Mechanics, Tbilisi, № 3(40), 2010, pp. 52-63.
6. Aptsiauri A. Circular movement in radial channels at small charges and transformation of heat of environment to useful work//Problems of Mechanics, Tbilisi, № 4(41), 2010, pp. 112-118.
7. Aptsiauri A. The conflict of organic laws of thermodynamics in isolated systems and kinetic energy of relative movement//Georgian Scientific News, # 3, 2009, pp.7-13.
8. Aptsiauri A. Circular flow and question of overcoming of thermal installations maximal efficiency//Problems of Mechanics, Tbilisi, № 1(38), 2010, pp. 39-48.
9. Aptsiauri A.Z. non-equilibrium thermodynamics. Monograph. 2011, 180 p. (In Russian).

**Termodrekadobi s sasazRvro amocanebi  
naxevarsi vrci saTvi s mi krotemperaturis  
gaTval i swi nebi T**

**ლამარა ბიწაძე**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
თბილისი, საქართველო, [lamarabits@yahoo.com](mailto:lamarabits@yahoo.com)

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია თერმოდრეკადობის სამგანზომილებიანი თეორიის სასაზღვრო პროცენტები ნახევარსივრცისათვის მიკროტემპერატურის გათვალისწინებით. ვთქვათ ნახევარსივრცის საზღვარზე მოცემულია ერთერთი შემდგენ სასაზღვრო პირობათაგანი: ა) გადაადგილების და მიკროტემპერატურის ვექტორები და ტემპერატურა, ბ) გადაადგილების და მიკროტემპერატურის ვექტორები, მიკროტემპერატურის ვექტორის ნორმალური მდგენელის და ტემპერატურის ნორმალით წარმოებულის წრფივი კომბინაცია, გ) გადაადგილების ვექტორი, მიკროტემპერატურის ვექტორის მხები მდგენელები, მიკრობაბვის ნორმალური მდგენელი და ტემპერატურა დ) გადაადგილების ვექტორი, მიკროტემპერატურის ვექტორის ნორმალური მდგენელი, მიკრობაბვის მხები მდგენელები, ტემპერატურის ნორმალით წარმოებული.

ფურიეს გარდაქმნის გამოყენებით ამონახსნები წარმოდგენილია კვადრატურებში.

**მადლობა.** წინამდებარე ნაშრომი შესრულებული იყო საქართველოს შოთა რესთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (Grant #GNSF/ST08/3-388).

**ლიტერატურა**

1. Iesan D., and Quintanilla R. On a theory of thermoelasticity with microtemperatures. J.of Thermal Stress: vol.23, 2000, 199-215.
2. Kupradze V.D., Gegelia T.G., Basheleishvili M.O. and Burchuladze T.V. Three-dimensional Problems of the

Mathematical Theory of Elasticity and Thermoelasticity. North-Holland Publ. Company, Amsterdam-New-York- Oxford, 1979.

**saqarTvel os teritori aze arsebul i  
ganaSeni anebi s sei smuri r i sk i s Sefaseba,  
i nji nrul i mi dgoma da arawrfi vi di nami ki s  
probl emebi**

გურამ გაბრიელიძე

კირიაკ ზავრიელის სამშენებლო მექანიკის,  
სეისმომედეგობისა და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი

როდესაც ვუყურებთ, როგორ ზიანდება, ან ინგრევა მიწისძვრისას შენობა, ყველა ხვდება, რომ ეს არის დინამიკური პროცესი. მყარი ტანის მექანიკაში მომუშავე მეცნიერისათვის ეს არის არაწრფივი დინამიკის სანიმუშო მაგალითი. სეისმომედეგი მშენებლობის სპეციალისტმა კი იცის, რომ შენობები ზიანდება, ან ინგრევა არა იმიტომ, რომ სეისმოლოგებმა, ან ინჟინრებმა დაუშვეს უხეში შეცდომა, არამედ იმიტომ, რომ ასეთი სურათის განხორციელების ალბათობა დევს სეისმომედეგი მშენებლობის იდეოლოგიაში. სეისმომედეგი მშენებლობა სუკოველთვის იყო და დღესაც არის სიარული ცოდნისა და არცოდნის, რისკისა და გამართლების ზღვარზე.

ნებისმიერი ნაგებობის ქცევა მიწისძვრისას, პირობითად შეიძლება ორად გავყოთ. სუსტი სეისმური ზემოქმედებისას იგი მუშაობს დაუზიანებლად და მისი ქცევა შეისწავლება წრფივი დინამიკის მეთოდებით. ძლიერი სეისმური ზემოქმედებისას ნაგებობაში ჩნდება სხვადასხვა ბუნების დეფექტები, ბზარები და მისი ქცევა ემორჩილება არაწრფივი დინამიკის კანონებს.

სეისმომედეგი მშენებლობის იდეოლოგიის ძირითად თეზას წარმოადგენს განცხადება, რომ მას შეუძლია შეფასოს ნაგებობის ქცევა, როგორც სუსტი, ასევე ძლიერი

სეისმური ზემოქმედებისას. სამწუხაროდ, ეს განცხადება დეკლარაციის დონეზე რჩება მანამდე, სანამ არაწრფივი დინამიკის დარგში მიღწეული შედეგები არ შეუქმნიან მას საიმედო მეცნიერულ საფუძველს.

ამ განცხადების დასადასტურებლად, წინამდებარე ნაშრომში აღწერილია პროცედურა, რომელიც დღეს მთელს მსოფლიოში გამოიყენება ამა თუ იმ სეისმურად აქტიურ რეგიონში განლაგებული განაშენიანების სეისმური რისკის შესაფასებლად. ნაჩვენებია, რომ ეს პროცედურა მთლიანად ემყარება ისეთი საინჟინრო მცნებების გამოყენებას, როგორიცაა “შენობის დაზიანება”, “დაზიანების ხარისხები” და სხვა. ყველა ამ მცნებების შინაარსი დაკავშირებულია იმ როგორც პროცესებთან, რომელიც ვითარდება მასალაში, რისგანაც აგებულია შენობა. ანუ, შენობის რღვევა იწყება მასალის რღვევით.

იმისათვის, რომ ამ მცნებებმა შეიძინონ უფრო ცხადი და ინფორმატიული შინაარსი, საჭიროა მასალის რღვევის პროცესების მოდელირება მათზე რთული დინამიკური ზემოქმედებისას, რაც არაწრფივი დინამიკის საგანს შეადგენს “არაწრფივი დინამიკის სათანადო მოდელირებაში უნდა მიგვიყვანოს არამდგრადობებამდე, რომლებიც განაპირობებენ გადასვლას იმ სტაციონალური მდგრადობებისა და სივრცითი სტრუქტურებისაკენ, რომლებიც ყალიბდებიან დეფექტების კონცენტრაციისას” (“Exploring Complexity” by G. Nikolis and I. Prigogine, 1989).

## TaRovani kaSxI ebi s si mt ki ceze gaangari Sebi s kombi ni rebul i meTodi da optimal uri paramet rebi s SerCevi s saki Txebi

ზ. გედენიძე, ტ. კვიციანი, მ. კუბლა შვილი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თაღოვანი კაშხალი რთული გეომეტრიული ფორმის გარსული ტიპის ნაგებობაა, რომელსაც მუშაობა უხდება განსაკუთრებულ პირობებში. ამიტომ თაღოვანი კაშხლების სიმტკიცეზე გაანგარიშება დეფორმირებადი სხეულების მექანიკის ურთულეს ამოცანათა კატეგორიას მიეკუთვნება. რადგან თაღოვანი კაშხლების სიმტკიცის არსებული თეორია ჯერ ვერ უზრუნველყოფს მათი ძაბვითი და დეფორმირებული მდგომარეობის ზუსტი სურათის გამოყლენას, ამიტომ დღის წესრიგში დადგა თაღოვანი კაშხლების გაანგარიშების მიახლოებითი რიცხვითი მეთოდების დამუშავება.

თაღოვანი კაშხლის გასაანგარიშებლად უფრო მიზანშეწონილია გარსთა თეორიის გამოყენება, რომელსაც აბრკოლებს გადამწყვეტ განტოლებათა ამოხსნის სირთულე, მისი რთული სასაზღვრო პირობებისა და გეომეტრიის გამო. გართულებულია აგრეთვე ნორმებით გათვალისწინებული „კაშხალი-ფუძის“, როგორც ერთიანი სისტემის გაანგარიშება, განსაკუთრებით, როცა ფუძის გრუნტი არაერთგვაროვანია, გააჩნია ბზარები და ზოგჯერ სიცარიელებიც. სასრული ელემენტების მეთოდით სისტემა „კაშხალი-ფუძის“ გაანგარიშება, წყვეტილი პარამეტრების პირობებშიც დიდ სირთულეს არ წარმოადგენს.

ნაშრომში კაშხლის ტანის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა ფასდება გარსთა თეორიის გამოყენებით, რომლის სასაზღვრო უბნის კონტურზე სასაზღვრო მნიშვნელობათა დადგენა ხორციელდება სასრული ელემენტების მეთოდით, სისტემა „კაშხალი-ფუძისათვის“.

კაშხლის უცნობი სისქეების განსაზღვრა გათვალისწინებულია რთული დაძაბული მდგომარეობის სიმტკიცის პირობიდან, რომელიც უზრუნველყოფს ყოველ წერტილ-

ში, მასალის გაჭიმვასა და კუმშვაზე სხვადასხვა წინაღობის გათვალისწინებით, დენადობის პირობას. ასეთი თაღოვანი კაშხლები შეიძლება მივაკუთვნოთ თანაბარი სიმტკიცის კატეგორიას, რაც ერთი მხრივ განსაზღვრავს კაშხლის მინიმალურ მოცულობას (წონას), მასალის მექანიკური მახასიათებლების შაქსიმალურად გამოყენების საფუძველზე, ხოლო მეორე მხრივ უზრუნველყოფს მათგატიკურად ამოცანის კორექტულობას. ოპტიმალური კონსტრუქციის თაღოვანი კაშხალი დააჩქარებს და გააიავებს მინიმუმ 10-15%-ით მის მშენებლობას, რაც უფრო მომხიბლავი იქნება ინვესტორებისათვის. თაღოვანი კაშხლის სიმტკიცეზე გასაანგარიშებლად კომპიუტერული პროგრამების მომზადება საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ თაღოვანი კაშხლის ოპტიმალური პარამეტრები, გავაუმჯობესოთ კონსტრუქცია, გავზარდოთ მისი მუშაობის საიმედოობა და ეკონომიკურობა. იგი გაადგილებს დამპროექტებლებისათვის კვლევის შედეგების გამოყენებას.

ამ ამოცანის გადაწყვეტა უნდა განხორციელდეს შემდეგი თანმიმდევრობით:

— კაშხლის ტანის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის შესაფასებლად გარსთა თეორიის ძირითადი განტოლებებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბება, რომელშიც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული მისი მუშაობის პირობები;

— გადამწყვეტ განტოლებათა სისტემაში კოეფიციენტების სახით შემავალი გეომეტრიული მახასიათებლების ე.წ. ლამეს პარამეტრების ანალიზური განსაზღვრანებისმიერი მოხაზულობის თაღოვანი კაშხლისათვის;

— კაშხლის ტანის ძაბვის და დეფორმაციის კომპონენტების განსაზღვრისათვის, გადამწყვეტ განტოლებათა სისტემის ამოხსნის მეთოდის დასაბუთება;

— კაშხლის ტანის საკონტაქტო სიბრტყეში, შიგა ძალებისა და მომენტების სასაზღვრო მნიშვნელობათა (სასაზღვრო პირობების) განსაზღვრა სისტემისათვის „კაშხალი — ფუძე“; — ფუძის გრუნტში დაძაბულ-

დეფორმირებული მდგომარეობის გამოკვლევა წინასწარ დანიშნული კაშხლის პერიოდის მახასიათებლებით.

ნაშრომში მიღებული შედეგების უტყუარობის ანალიზისა და გამოყენების სფეროს დადგენის მიზნით კაშხლის ტანის ძაბვის კომპონენტები გათვალისწინებულია განისაზღვროს ორ ვარიანტად:

1. ნახევრადმომენტური გარსთა თეორიით. ამ დროს წონასწორობის განტოლებათა სისტემა წარმოდგენილია ოთხ კერძო წარმოებულიანი პირველი რიგის განტოლებათა სისტემით, ხუთი უცნობი ძალოვანი ფაქტორით.

თუ სიმტკიცის პირობაში ძაბვის კომპონენტებს გარსის შედაპირის მიმართ წარმოვადგენთ კენტი და ლუწი ფუნქციების სახით და ამ ჯამებს ცალცალკე გაუტოლებონ ხულს, მივიღებთ წრფივ და არაწრფივ ორ განტოლებას. წრფივი განტოლების აღნიშნულ წონასწორობის განტოლებათა სისტემაზე დამატება გადააქცევს მას სტატიურად რკვევადად. ხოლო არაწრფივი განტოლება გამოყენებული იქნება კაშხლის ოპტიმალური სისქეულის განსაზღვრისთვის. ამ მეთოდით ამოცანის ამოხსნისას უშვებო მხოლოდ სტატიკური ხასიათის დაშვებებს.

2. დაზუსტებული თეორია წარმოდგენილია წონასწორობის ხუთი და გარსის შედაპირის დეფორმაციის სიჩქარის უწყვეტობის სამი განტოლებით. სისტემა შეიცველს რვა უცნობ ძალოვან ფაქტორს.

ამრიგად კაშხლის ტანის საანგარიშო სისტემა, ორივე შემთხვევაში სტატიკურად რკვევადია.

კაშხლის ტანის დაძაბული მდგომარეობის გამოსავლენად, როგორც ნახევრადმომენტური, აგრეთვე მომენტური თეორიით მიღებული გადამწყვეტ განტოლებათა სისტემის ამოხსნა ანალიზური მეთოდით გართულებულია, ამიტომ გათვალისწინებულია თაღოვანი კაშხლის გაშლილი არის სასრული სხვაობითი ბადით აპროქსიმაცია. შერჩეული ბადით სასრულ სხვაობებში კერძო წარმოებულები კაშხლის სიმაღლეში განსაზღვრულია მუდმივი ბიჯის ცენტრალური სხვაობებით, ხოლო პორიზონტალური მიმართულებით ცვლადი ბიჯით.

# ekometeorol ogi urad aqtual uri I okal uri atmosferul i procesebi s ricxvi Ti model ireba

გიორგი გელაძე

თსუ ი. ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი,  
უნივერსიტეტის ქ. 2, 0186 თბილისი, საქართველო,  
e-mail: [givi-geladze@rambler.ru](mailto:givi-geladze@rambler.ru)

შრომაში განხილულია ნოტიო პროცესების რიცხვითი მოდელირება, რომელთაც ადგილი აქვთ ატმოსფეროს მუზომასშტაბურ სასაზღვრო ფენაში (**ამსფ**). ნოტიო პროცესების სახით მოიაზრებიან ნისლი, ფენა დრუბლები, საღრუბლო პროცესები და მონათესავე საკითხები.

ჩვენ მათ ვიკვლევთ არა მხოლოდ ამინდის პროგნოზის, საზღვაო-, ავია- და აგრომეტეოროლოგის, არამედ ეკოლოგიური ოვალსაზრისითაც, რადგან სწორედ მათში აქვს ადგილი დამაბინძურებელ ნივთიერებათა აკუმულაციას.

ასევე აუცილებელია იმ ფაქტის გათვალისწინება, რომ ნისლისა და ფენა დრუბლის ფორმირებისას და, განსაკუთრებით, მათი ერთდროული არსებობისას, ადგილი აქვს წყლის ორთქლის კონდენსაციის ფარული სითბოს გამოყოფას, რის გამოც იცვლება ატმოსფეროს ტემპერატურული სტრატიფიკაციის მრუდი და ის იღებს “ტეხილის” ფორმას.

ატმოსფეროს ტემპერატურული სტრატიფიკაციის მრუდის სწორედ ეს “კლაკნილები” ქმნიან ტემპერატურულად ინვერსიულ ფენებს, ე. წ. “ჩამჭერებს”, სადაც აკუმულირდება დამაბინძურებელი ნივთიერებები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ეფექტი მნიშვნელოვნად იზრდება ნისლისა და დრუბლის ერთდროული არსებობისას როგორც ჰორიზონტალურ, ისე ვერტიკალურ სიბრტყეში. ამ ტემპერატურულად ინვერსიული ფენების ფორმირება წარმოადგენს დრუბელ- და ნისლფორმირების აუცილებელ თანმდევ პროცესს.

ამ საკითხებთან დაკავშირებით დასმულია და რიცხვითი მეთოდების საშუალებით ამოხსნილია **ამსფ**-ის 2-გან-

ზომილებიანი (x-z სიბრტყეში) არასტაციონარული ამოცანა ნოტიო პროცესების გათვალისწინებით. ლოკალური ცირკულაცია ვითარდება ქვეფენილის ტემპერატურული არაერთგვაროვნების, ე.წ. სითბური “კუნძულის” ხარჯზე.

ამოხსნის შედეგად მიღებულია **ამსფის** ძირითადი მეტეოროგების (ქარის კომპონენტების, ტემპერატურის, წნევის, ხელდროითი ტენიანობისა და წყლიანობის) სივრცულ-დროითი განაწილება.

დაწვრილებითაა განხილული წყლის ორთქლის ფაზურ გადასვლებთან დაკავშირებული პრობლემები და მათი დაძლევის გზები.

მოდელირებულია რიგი ისეთი ანომალური პროცესებისა, როგორიცაა ღრუბლისა და ნისლის ერთდროული არსებობა; ღრუბლისა და ნისლის გაერთიანებული ვერტიკალური კომპლექსი; დღე-ღამურად უწყვეტი ღრუბლიანობა.

განსაკუთრებით გვინდა ხაზი გავუსვათ იმას, რომ ამოხსნის შედეგად გარკვეული ფიზიკური პარამეტრების შერჩევის ხარჯზე (ძირითადი ყურადღება ექცეოდა პროცესის ტურბულენტურ რეჟიმს) მოდელირებულ იქნა ნოტიო პროცესების ანსამბლი (სწორედ ეს პროცესია ეკოლოგიურად საინტერესო): ერთდროულად სამი ფენა ღრუბელი და ნისლი. ასევე ადგილი აქვს მათ ურთიერთტრანსფორმაციას.

## daZabul obis tenzori sakuTari mni Svnel obebi s gansazRvri s erT-erTi meTodi s Sesaxeb

გაუა გოგაძე\*, თამაზ თელია\*\*

\*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი,  
საქართველო, vajagogadze@rambler.ru

\*\*ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია, ბათუმი,  
საქართველო, t.telia@bsma.edu.ge

დაბაბულობის ტენიორებისათვის საკუთარი მნიშვნელობები განსაზღვრავენ მთავარ ნორმალურ ძაბვებს,

მექანიკური სისტემების დინამიური ანალიზის დროს შეესაბამებიან რხევების საკუთარ სისტირეებს, ხოლო კონსტრუქციის ანგარიშის დროს გვაძლევს საშუალებას განვსაზღვროთ კრიტიკული დატვირთვები, რომელთა გადამეტება იწვევს მდგრადობის დაკარგვას. აშკარაა, რომ ყველაზე გავრცელებულ ხერხს საკუთარ მნიშვნელობებზე ამოცანის ამონენისას წარმოადგენს მათი განსაზღვრა განტოლებათა სისტემიდან  $(A-\lambda E)X=0$ , რომელსაც გააჩნია არანულოვანი ამონასნი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა  $\det(A-\lambda E)=0$ . ამ შემთხვევაში  $A$  არის დაძაბულობის მატრიცა განზომილებით  $3x3$ ,  $E$ -ერთეულოვანი მატრიცა,  $\lambda$ -სამი სკალარული მნიშვნელობა, რომლებიც საჭიროა ვიპოვოთ,  $X$ -საკუთარი ვექტორები, რომლებიც შეესაბამებიან თითოეულს საკუთარი მნიშვნელობებიდან. მსაზღვრელის გახსნის შემდეგ ვდებულობთ მესამე ხარისხის პოლინომს  $\lambda$ -ს მიმართ, რომლის ფესვებიც იქნება მატრიცის საკუთარი მნიშვნელობები. არაწრფივი განტოლების ამონენისათვის გამოყენებულია პროგრამული პაკეტი *MS Excel* და მასში ჩაშენებული დიალოგური ფანჯარა *Goal Seek*. ნაპოვნი მთავარი ძაბვის უდიდესი მნიშვნელობა შეესაბამება დაძაბულობის მატრიცის უდიდეს საკუთარ მნიშვნელობას, რომლის დროსაც ხდება ნგრევა.

### ლიტერატურა

1. Ларсен Рональд У., Инженерные расчеты в Excel. – М.: «Вильямс», 2002.
2. Шуп Т., Решение инженерных задач на ЭВМ.- Москва: «Мир», 1982.

**fil traci is erTi arawrfi vi maTemati kuri  
model i s kompi uterze real izaci i s Sesaxeb**

დავით გორდეგზიანი, ეკატერინე გორდეგზიანი,  
თეიმურაზ დავითაშვილი, არჩილ პაპუკაშვილი  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, ი. ვევუას სახელობის გამოქვებითი  
მათგაბატიკის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო,  
[dgord37@hotmail.com](mailto:dgord37@hotmail.com), [tedavitashvili@gmail.com](mailto:tedavitashvili@gmail.com),  
[apapukashvili@rambler.ru](mailto:apapukashvili@rambler.ru)

განიხილება საწყის - სასაზღვრო ამოცანა

$$\frac{\partial u}{\partial t} = a \Delta u^2, \quad x = (x_1, x_2, \dots, x_n) \in D, \quad 0 < t \leq T, \quad (1)$$

$$u(x, t) = 0, \quad x \in \Gamma, \quad 0 \leq t \leq T, \quad (2)$$

$$u(x, 0) = u_0(x), \quad x \in \bar{D}, \quad (3)$$

$$\text{სადაც} \quad \Delta \equiv \sum_{\alpha=1}^n \frac{\partial^2}{\partial x_\alpha^2}, \quad u_0(x) \quad \text{მოცემული} \quad \text{ფუნქცია,}$$

$D \subset R^n$ ,  $D$  - შემოსაზღვრული არეა  $\Gamma$  მისი საზღვარი,  
 $a = const > 0$ ,  $T = const > 0$ .

(1), (3) ამოცანის ამოსახსნელად აგებული და გამოყენებულია ასიმეტრიული სხვაობიანი სქემები. ჩატარებულია ალგორითმების ანალიზი და რიცხვითი ექსპერიმენტები.

**მადლობა.** წარმოდგენილი ნაშრომი შესრულებულია საქართველოს მოთა რუსთაველის სახელობის სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით (Grant #GNSF 09-614\_5-210).

## geometriul ad arawrivi sferul i garsebi

ბაქურ გულუა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, ი. ვეკუას სახელობის გამოყენებით  
მათემატიკის ინსტიტუტი,  
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
თბილისი, საქართველო, [bak.gulua@gmail.com](mailto:bak.gulua@gmail.com)

ნაშრომში განხილულია გეომეტრიულად არაწრფი-  
ვი სფერული გარსები. დეფორმაციის ტენსორის  
კომპონენტებს აქვს სახ:

$$e_{ij} = \frac{1}{2} (\vec{R}_j \partial_i \vec{U} + \vec{R}_i \partial_j \vec{U} + \partial^k \vec{U} \partial_k \vec{U})$$

სადაც  $\vec{R}_i$  კოვარიანტული საბაზისო გექტორებია,  $\vec{U}$   
გადადგილების ვექტორია.

ი. ვეკუას მეთოდით მიღებულია ორ განზომილები-  
ან განტოლებათა სისტემა [1], [2], [3]. მცირე პარამეტრის  
მეთოდის გამოყენებით აგებულია მიახლოებითი ამონას-  
სნები [4], [5]. მცირე პარამეტრი  $\varepsilon = h/R$ , სადაც  $2h$   
გარსის სისქეა,  $R$  სფერული გარსის შუა ზედაპირის  
რადიუსია. ამონსნილი კონკრეტული ამოცანა.

## ლიტერატურა

1. Vekua, I.N.: Theory on Thin and Shallow Shells with Variable Thickness. Tbilisi, Metsniereba, 1965 (in Russian).
2. Vekua, I.N.: Shell Theory: General Methods of Construction. Pitman Advanced Publishing Program, Boston-London-Melbourne, 1985.
3. Meunargia T.V.: On one method of construction of geometrically and physically non-linear theory of non-shallow shells. Proc. of A. Razmadze Math. Institute, 119 (1999), 133-154.
4. Meunargia T.V.: On the application of the method of a small parameter in the theory of non-shallow I.N. Vekua's shells. Proc.

of A. Razmadze Math. Institute, 141 (2006), 87-122.

5. Gulua B.R.: On construction of approximate solutions of equations of the non-linear and non-shallow cylindrical shells. Bulletin of TICMI, 13 (2009), 30-37.

## magistral ur mi I sadenebSi gazi s Txevadi fazi s warmoqmni s maTematici kuri model i reba

თეიმურაზ დავითაშვილი, გივი გუბელიძე,

დავით გორდეზიანი, არჩილ პაპუკაშვილი

ოგ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი, ი. ვევუას სახელობის გამოცემებითი

მათემატიკის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო,

[dgord37@hotmail.com](mailto:dgord37@hotmail.com), [tedavitashvili@gmail.com](mailto:tedavitashvili@gmail.com),

[apapukashvili@rambler.ru](mailto:apapukashvili@rambler.ru)

მიღსადენის ჩაჭედვის (ავარიული ჩაკეტვის) ძირითადი მიზეზებია: ჰიდრატების წარმოშობა, წყლის საცობების გაყინვა, დანაგვიანება და სხვა. იმისათვის, რომ დროულად იქნეს მიღებული ზომები ჰიდრატების წარმოქმნის საწინააღმდეგოდ, საჭიროა შესწავლილი იქნეს ტენიანობა, წნევისა და ტემპერატურის განაწილება[14].

ცნობილია, რომ მაგისტრალში გაზის არასტაციონარული, არაიზოთერმული მოძრაობა აღიწერება შემდეგი განტოლებათა სისტემით [3-6]

$$\frac{\partial \omega}{\partial t} = -\frac{1}{\rho_0} \frac{\partial P}{\partial x} + \nu_0 \cdot \frac{1}{z} \frac{\partial}{\partial r} \left( r \frac{\partial \omega}{\partial r} \right), \quad (1)$$

$$\frac{\partial P}{\partial t} = \rho_0 C_p \left( 1 - \frac{C_p}{C_v} \right) \frac{\partial T}{\partial t} - \frac{\rho_0 C^2 C_v}{C_p} \cdot \frac{\partial \omega}{\partial x}, \quad (2)$$

$$\frac{\partial \rho}{\partial t} = -\rho_0 \frac{\partial \omega}{\partial r}, \quad (3)$$

$$\frac{\partial T}{\partial t} = -\frac{1}{\rho C_p} \frac{\partial P}{\partial t} + a \cdot \frac{1}{z} \frac{\partial}{\partial r} \left( r \frac{\partial T}{\partial r} \right), \quad (4)$$

სადაც  $\omega(x, r, t)$  გაზის დინების სიჩქარეა,  $P(x, r, t)$ - გაზის წნევა,  $T(x, r, t)$  - ტემპერატურა (აბსოლუტური),  $\rho(x, r, t)$  - გაზის სიმკვრივე.  $\rho_0$  გაზის სიმკვრივეა ნორმალურ პირობებში,  $\alpha$  - გაზის სითბოგამტარებლობის კოეფიციენტი,  $V_0$  - სიბლანტი ნორმალურ პირობებში,  $C_p$  სითბოტევადობა მუდმივი წნევის დროს,  $C_v$  - სითბოტევადობა მუდმივი მოცულობის, დროს,  $C$  ბგერის გავრცელების სიჩქარეა გაზში,  $r$  არის განივ პეტომეტრი მიღებული წრის წერტილის დაშორება ცენტრიდან.

(1)-(4) გამარტივებული ამოცანის ამოხსნის შედეგად მიღებული  $P(x, r, t)$  და  $T(x, r, t)$  ფუნქციებითა და უტოლობით  $T(x, r, t) < S \lg P(x, r, t) - u$  დადგენილია პიდრატის შესაძლო წარმოქმნის ადგილმდებარეობა.

**მადლობა.** წარმოდგენილი ნაშრომი შესრულებულია საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით (№GNSF 09-614-5-210).

## ლიტერატურა

1. Avlonitis D., A Scheme for Reducing Experimental Heat Capacity Data of Gas Hydrates, *Industrial and Engineering Chemistry Research*, 33(12), 1994, pp.3247-3255.
2. Haghghi, H., Azarinezhad, R., Chapoy, A., Anderson, R., and Tohidi, B. Hydraflow: Avoiding Gas Hydrate Problems, SPE 107335 *SPE Europec/EAGE Annual Conference and Exhibition*, London, United Kingdom, 11–14 June (2007).
3. Davitashvili T., Gubelidze G., Samkharadze I., "Prediction of Possible Points of Hydrates Origin in the Main Pipelines Under the Condition of Non-stationary Flow", World Academy of

Science, Engineering and Technology Year 7, Issue 78, July, 2011, Amsterdam, The Netherlands, pp.1069-1074.

4. Mohammadi, A.H., Chapoy, A., Tohidi, B., and Richon, D. Gas Solubility: A Key to Estimate Water Content of Natural Gases, *Industrial and Engineering Chemistry*, 45, 4825-4829 2006
5. Ostergaard, K.K., Masoudi, R., Tohidi, B., Danesh, A. and Todd, A.C. A General Correlation for Predicting the Suppression of Hydrate Dissociation Temperature in the Presence of Thermodynamic Inhibitors, *Journal of Petroleum Science and Engineering*, 48, 2005, pp.70-80 .
6. Yufin V. A. Gas and oil pipeline transportation, *Moscow*, "Nedra", 1978.

arawrfi vi meqani ki s zogi erTi amocani s amoxsni s pi rdapi ri da i teraci ul i meTodebi

თამაზ გაშეგმაძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ი. ვაკუას სახელობის  
გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, თბილისი,  
საქართველო, [tamazvashakmadze@gmail.com](mailto:tamazvashakmadze@gmail.com)

ქვემოთ ჩამოთვლილი მეოთედები ძირითადად აპრობირებულია არაწრფივი მექანიკის ზოგიერთი ამოცანის ამონასნის ასაგებად. ძირითადად იმ შემთხვევაში, როდესაც მათემატიკური მოდელი დრეკადი ანიზოტროპული თხელკედლოვანი სტრუქტურების შესაბამისი სივრცული ცვლადის მიმართ ერთი და/ან ორგანზომილებიანი საწყის-სასაზღვრო ამოცანებია.

1. განვითარებულ იქნა ცვლად მიმართულებათა მეოთხის უწყვეტი ანალოგი და აიგო მადალი რიგის სიზუსტის სქემები ფონ კარმან-ფაილონის ტიპის კვაზიწრფივი ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებათა სისტემისათვის.

2. დინამიური ამოცანებისათვის ფონ კარმანის ტიპის სისტემების შემთხვევაში, ზ. გეგეჭკორი, ჯ. როგავსა და მ. წიკლაურის მეთოდის გამოყენებით, აგებულ იქნა მონოტონური დროის ბიჯის მიმართ მესამე და მეოთხე რიგის სიზუსტის სქემები.

3. განვითარებულ იქნა პარამეტრით გაწარმოების მეთოდი ფონ კარმანის ტიპის სისტემისათვის, რომელიც წარმოადგენს ბერნშტეინის ფუნქციათა არჩევის მეთოდის კონკრეტულ განხორციელებას;

4. დაფუძნებულ და რეალიზებულ იქნა ზოგიერთი სასაზღვრო ამოცანის მიახლოებითი ამოხსნის ვარიაციულ-დისკრეტული მეთოდი, როგორც შემოსაზღვრული, ისე შემოუსაზღვრელი არებისათვის. საკოორდინატო ფუნქციათა სისტემებად გამოყენებულია ერთდროულად კლასიკური ორთოგონალური პოლინომები და სპლაინები;

5. წრფივი ოპერატორული  $(L + \varepsilon M)u = f$  განტოლებისათვის განვითარებულ იქნა შეშფოთების (პუანკარე-ლიაპუნოვის) თეორიის კრებადი ალტერნატული მეთოდი, რომლის მიხედვით მიახლოებითი ამონახსნი იგება  $n$ -ჯერ  $L$  ოპერატორის შებრუნებითა და ცნობილ ფუნქციაზე  $\varepsilon M$  ოპერაციის განხორციელებით.

## Cai s masi s meqani kuri model i fOTI i s grexi s procesi s maTemat i kuri model i rebi saTvi s

ავთანდილ თვალჯრელიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
ქუთაისი, საქართველო, [avtva47@rambler.ru](mailto:avtva47@rambler.ru)

ჩაის პროდუქციის წარმოებაში ახალი მაღალეფების ტექნოლოგიების და მოწყობილობების დამუშავება შეუძლებელია სხვადასხვა პროცესების, მათ შორის, გრეხის პროცესის დრმა თეორიული კვლევის გარეშე. გრეხის პროცესის დანიშნულებაა ფლეშების დანაწილება

ცალკე ელემენტებად, ფოთლისთვის მოგრეხილი ფორმის მიცემა და, რაც მთავარია, უჯრედების გარსაცმის რდვევა, უჯრედის წვენის გამოყოფა ფოთლის ზედაპირზე. დღესდღეობიდ არ არსებობს ჩაის მასის გრეხის პროცესის დამაკმაყოფილებელი მექანიკური თეორია. ამ თეორიის საფუძველია ჩაის მასის რეოლოგიური მოდელი.

ჩაის მასას გააჩნია რთული რეოლოგიური თვისებები, რომლებიც წარმოადგენენ ყველა ფუნდამენტალური თვისებების (დრეკადობა, პლასტიკურობა, სიბლანტე) კომბინაციას. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად ჩაის მასის დრეკადი თვისებები ვლინდება იმ მასაში, რომელიც შედგება ცოცხალი, ტენდაციარგავი ფოთლებისაგან. ჩაის მასა შედგება რა მცირედ დაკავშირებული ელემენტების ყლორტებისა და ფოთლებისაგან, განეკუთვნება ფხვიერ გარემოს. ისევე როგორც ნებისმიერი ფხვიერი გარემოს მექანიკური აღწერის შემთხვევაში, დიდი მნიშვნელობა აქვს პლასტიკური თვისებების სწორ გათვალისწინებას.

ბლანტი თვისებების არსებობა გულისხმობს შიგა ძალების დამოკიდებულებას დეფორმაციის სიჩქარეზე. პრინციპში ასეთი დამოკიდებულება უნდა შეიმჩნეოდეს ფოთლებსშორის უჯრედის წვენისგან წარმოქმნილი ფენის არსებობის დროს. როგორც ჩანს დეფორმაციის მცირე სიჩქარის დროს შეიძლება უგულვებელყოთ ბლანტი ხახუნი და გრეხის დროს ჩაის მასის მოდელირება მოვახდინოთ დრეკად-პლასტიკური გარემოთი მშრალი შიგა ხახუნით. პლასტიკური დინების თეორიისა და ფხვიერი გარემოს მექანიკის საფუძველზე მიღებულია ჩაის მასის რეოლოგიური მოდელის გამსაზღვრელი შეფარდებები [2].

ჩაის ფოთლის გრეხის პროცესის თეორიის აგებისას შემოგვაქვს მოგრეხილობის ხარისხის ცნება დროის მოცემულ მომენტში ჩაის მასის მდგომარეობის ლოკალური მახასიათებელი [1]. ახალი უცნობი სიდიდის გამოჩენა მოითხოვს ერთ დამატებით განტოლებას პროცესის განტოლებათა სისტემის ჩაკეტვისთვის [2]. ასეთი განტოლება უნდა შეიცავდეს “მოგრეხვის” პირობას (“მოგრეხვის” კრიტერიუმს), რომელიც დაკავშირებს ჩაის მასის მოძ-

რაობის კინემატიკურ ან დინამიკურ მახასიათებლებს ფოთლის უჯრედის მექანიკური გღვევის სხვადასხვა გონგრეტულ მექანიზმებთან [3].

### ლიტერატურა

1. Tvalchrelidze A., Kankadze B. To the theory of tea leaf twisting process: the degree of the tea mass twisting// Scientific Journal of IFToMM “Problems of Mechanics”, Tbilisi, 2010, №3(40), pp.78-80.
2. Tvalchrelidze A., Kankadze B. To the theory of tea leaf twisting process: the rheology model of the tea mass// Scientific Journal of IFToMM “Problems of Mechanics”, Tbilisi, 2010, №4(41), pp.96-100.
3. Tvalchrelidze A., Kankadze B. To the theory of tea leaf twisting process: criteria of twisting and an equation for the degree of the tea mass twisting// Scientific Journal of IFToMM “Problems of Mechanics”, Tbilisi, 2011, №1(42), pp.54-60.

### betoni s simt kicis prognosi rebis matemati kuri modeli

თემურ თურმანიძე, იბრაიმ დიდმანიძე

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი  
[ibraimd@mail.ru](mailto:ibraimd@mail.ru)

ნაშრომში შემოთავაზებულია ბეტონის ხანგრძლივი სიმტკიცის ზღვრის განსაზღვრის პრინციპულად განსხვავებული საანგარიშო მოდელი. მიღებულია თვისობრივად ახალი ანალიზური დამოკიდებულებები ბეტონის ხანგრძლივი სიმტკიცის განსაზღვრისათვის. მიღებული დამოკიდებულებების მნიშვნელოვანი შედეგი არის ის, რომ პრაქტიკულად შესაძლებელია განვსაზღვროთ სხვადასხვა სახის ბეტონის ხანგრძლივი სიმტკიცე იგივე

შემადგენლობის ბეტონის გამძლეობის ზღვრის ექსპერიმენტული მონაცემების საშუალებით.

### III i a vekuas cxovreba da mōRvawebə

თენციზ მეუნარგია, გომრგი ჯაიანი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, ი. ვეკუას სახელობის გამოყენებით  
მათემატიკის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო  
george.jaiani@gmail.com, tengiz.meunargia@viam.sci.tsu.ge

მოხსენება ეძღვნება ილია ვეკუას ცხოვრებასა და  
მოღვაწეობას. მასში მოკლედ არის მიმოხილული ი. ვე-  
კუას მიერ მიღებული ძირითადი შედეგები კერძოწარმოე-  
ბულიან დიფერენციალურ განტოლებებსა და კომპლექ-  
სურ ანალიზში და მათი გამოყენებები გეომეტრიასა და  
მექანიკაში. განსაკუთრებით არის წარმოჩენილი მისი  
მიღწევები დრეკადი გარსების სხვადასხვა მოდელების  
აგებასა და გამოკვლევაში.

### ri cxvi Ti meTodebi da sai nJi nro kvl evebi saqarTvel oSi (retrospeqtul i mi moxi l va)

არჩილ მოწონელიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შემოთავაზებულია, ინჟინრის პოზიციიდან დანახული,  
ნაგებობების თეორიული კვლევების განვითარების ეტაპე-  
ბის ანალიზი მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან დღემდე.  
განხილული პერიოდის დასაწყისი აღებულია იმის გათვა-  
ლისწინებით, რომ სწორედ ამ დროიდან იწყება რიცხვი-  
თი მეთოდების ყველაზე მძლავრი, სასრული ელემენტე-  
ბის მეთოდის გლობალური გავრცელება ნაგებობების

ანგარიშებში. აღწერილია, თუ როგორ ინერგებოდა ეს მე-  
თოდი ჩვენს საინჟინერო კვლევებში და რა გავლენა იქო-  
ნია მან ნაგებობების თეორიული კვლევების პროგრესზე  
საქართველოში.

**Rerovani Sedgeni I i sxeul ebi s deformaci i s  
kvi eva sasrul el ementTa meTodis  
gamoyenebi Tspi ral uri standartul i bagi ris  
magal i Tze**

გ. ნოზაძე, დ. პატარაია, გ. ჯავახიშვილი,  
თ. ჯავახიშვილი, ე. წოწერია, რ. მაისურაძე

ნაშრომში განხილულია სპირალური ღეროვანი შედგე-  
ნილი სხეულების მოდელირების ამოცანა ფოლადის  
ბაგირის მაგალითზე. მოდელირება შესრულებულია  
პროგრამული პაკეტის SOLID WORK 11.0 გამოყენებით.  
მოდელში რეალიზებულია სტანდარტული სპირალური  
ბაგირის 3062-80 1X7 (1+6) გეომეტრია, გათვალისწინებუ-  
ლია შემადგენელ მავთულებს შორის ხაზოვანი შეხება  
და ხახუნი.

წარმოდგენილი მოდელისთვის განხილულია ბაგირის  
გრძივი დატვირთვა და სასრულ ელემენტთა მეთოდის  
გამოყენებით მიღებულია შემადგენელი კომპონენტებში  
განვითარებული ძაბვები და გადადგილებები.

მიღებული შედეგებიდან აღსანიშნავია, რომ შემადგე-  
ნელ სხეულებში ვითარდება მომეტებული ძაბვები ძირი-  
თადად ძალის მოქმედების ზონაში პირველი ხვიის ფარ-  
გლებში

**მადლობა.** ნაშრომი შესრულდა რუსთაველის ეროვნული  
სამეცნიერო ფონდის საგრანტო დაფინანსებით მიმდინარე  
პროექტის (GNSF /ST09-314-7-130) ფარგლებში.

# rxevi s erTi araeTgvarovani di ferenci al uri gant ol ebi s mi axl oebi Ti amonaxsni s Sesaxeb

## გლადიძერ მდიშარია

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი  
მათემატიკა, კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულება  
თბილისი, საქართველო, vodisharia@yahoo.com

განიხილება შემდეგი საწყის-სასაზღვრო ამოცანა

$$w_{tt} - \left( \lambda + \frac{8}{\pi^3} \int_{\Omega} |\nabla w|^2 dx \right) \Delta w = f(x, t), \quad 0 < t \leq T, \quad x \in \Omega, \quad (1)$$

$$w(x, 0) = w^0(x), \quad w_t(x, 0) = w^1(x), \quad x \in \Omega,$$

(2)

$$w(x, t) = 0, \quad x \in \partial\Omega, \quad 0 \leq t \leq T,$$

სადაც  $x = (x_1, x_2, x_3)$ ,  $\Omega = \{(x_1, x_2, x_3) | 0 < x_i < \pi, \quad i = 1, 2, 3\}$ ,

$\partial\Omega$  წარმოადგენს  $\Omega$  არის საზღვარს,  $w^0(x), w^1(x)$  და  $f(x, t)$  მოცემული ფუნქციებია, ხოლო  $\lambda > 0$  და  $T$  ცნობილი კონსტანტები.

(1) წარმოადგენს კირსკოფის [1] სიმის რჩევის

$$w_{tt} - \left( \lambda + \frac{2}{\pi} \int_0^\pi w_x^2 dx \right) w_{xx} = 0 \quad \text{განტოლების სამგანზომილებიანი}$$

ბიან არაერთგვაროვან ანალოგს, რომლის ამოხსნადობის საკითხი პირველად გამოიკვლია ს. ბერნშტეინმა. შემდგომში კირსკოფის ტიპის განტოლებებმა მრავალი მკვლევარის ეურადდება მიიბურო. (იხ. მაგ. [2]-[5]).

ნაშრომში ჩამოყალიბებულია (1), (2) ამოცანის ამოხსნის ერთი რიცხვითი ალგორითმი. განხორციელებულია ეტაპობრივი დისკრეტიზება სივრცული ცვლადებისა და დროის არგუმენტის მიმართ. შედეგად მიღებულია კუბური სისტემის ამოსახსნელად გამოყენებულია იაკობის იტერაციული მეთოდი. შეფასებულია ამ მეთოდის ცდომილება.

## ლიტერატურა

1. Kirchhoff, G., Vorlesungen über Mechanik, Teubner, Leipzig, 1883.
2. Medeiros, L., Limaco, I., Menezes, S., Vibrations of an elastic strings: Mathematical Aspects, I and II., J. Comput. Anal. Appl., 4 (2002), no. 3, 211-263.
3. Peradze, J., A numerical algorithm for the nonlinear Kirchhoff string equation, Numer. Math., 102 (2005), no. 2, 311-342.
4. Peradze J., An approximate algorithm for a Kirchhoff wave equation, SIAM J.Numer. Anal., vol. 47, issue 3 (2009), 2243-2268.
5. Odisharia K., Odisharia V., Peradze J., On the Exactness of an Iteration Method for One Non-linear Oscillation Equation, Proceedings in Applied Mathematics and Mechanics, vol. 10, issue 1, December 2010, p.49-50.

**bzarebi T Sesustebul i Sedgeni l i sxeuI ebi sTvi s  
drekadobi s Teori i s anti brtyel i amocanebi s  
mi axl oebi Ti amoxsni s meTodebi s Sesaxeb**

არჩილ პაპუქაშვილი\*, დავით გორდეზიანი\*,

თეიმურაზ დავითაშვილი\*, ქერი შარიქაძე\*,

გელა მანელიძე\*\*, გიორგი კურდღელაშვილი\*\*\*

\*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, ი. ვეგუას სახელობის გამოყენებითი

მათემატიკის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო

\*\*თბილისის N 199 საჯარო სკოლა-პანსიონი « კომაროვი »,  
თბილისი, საქართველო

\*\*\*კასპის N 3 საჯარო სკოლა, კასპი, საქართველო,  
[apapukashvili@rambler.ru](mailto:apapukashvili@rambler.ru),

[dgord37@hotmail.com](mailto:dgord37@hotmail.com), [tedavitashvili@gmail.com](mailto:tedavitashvili@gmail.com),

[meri.sharikadze@viam.sci.tsu.ge](mailto:meri.sharikadze@viam.sci.tsu.ge), [gelamanelidze@gmail.com](mailto:gelamanelidze@gmail.com),  
[giorgi19870205@mail.ru](mailto:giorgi19870205@mail.ru)

ნაშრომში შესწავლილია ბზარებით შესუსტებული უბნობრივ-ერთგვაროვანი სიბრტყისთვის დრეკადობის ოეორიის ანგიბრტყელი ამოცანების ამოხსნის ორი მეთოდი - ინტეგრალურ განტოლებათა და სასრულ-სხვაობიანი მეთოდები. პირველ შემთხვევაში ანალიზურ ფუნქციათა ოეორიის გამოყენებით დრეკადობის ოეორიის ანგიბრტყელი ამოცანები ორთოტროპიული (კერძო შემთხვევაში იზოტროპიული) სიბრტყისთვის მიყვანილია უძრავი განსაკუთრებულობის შემცველ სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა სისტემაზე (წყვილზე) მხები ძაბვების ნახტომების მიმართ (იხ. [1], [2]). შესწავლილია ამონახსნის ყოფაცევის საკითხები ბზარის ბოლოების მახლობლობაში და გამყოფ საზღვარზე. მოყვანილია მიახლოებითი ამოხსნის ზოგადი სქემები და ჩატარებულია რიცხვითი გათვლები სპექტრალური, კოლოკაციისა და ასიმპტოტური მეთოდების გამოყენებით. ბზარებით შესუსტებული უბნობრივ-ერთგვაროვანი სიბრტყისთვის დრეკადობის ოეორიის ანგიბრტყელი ამოცანების სასრულ-სხვაობიანი მეთოდით შესწავლისას სიბრტყეს ვცვლით დიდი ზომის

კვადრატით და დიუერენციალური განტოლება შესაბამისი სასაზღვრო პირობებით აპროქსიმირდება სხვაობიანი ანალოგით. ამოცანის ასეთი დასმა საშუალებას იძლევა უშუალოდ ვიპოვოთ გადაადგილების ფუნქციის რიცხვი მნიშვნელობები ბადის კვანძებში. ორივე მეთოდის შემთხვევაში შემოთავაზებული სათვლელი ალგორითმები აპრობირებულია კონკრეტული პრაქტიკული ამოცანების-თვის და თვლის შედეგები კარგ მიახლოებაშია თეორიული კვლევით მიღებულ შედეგებთან.

წარმოდგენილი ნაშრომი შესრულებულია საქართველოს მოთა რუსთაველის სახელობის სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით (Grant #GNSF 09-614\_5-210 ).

### ლიტერატურა

1. Papukashvili A., Unplane problems of theory of elasticity with cracks of slackened piecewise-homogeneous plane. Reports of enlarged session of the seminar of I. Vekua institute applied mathematics. v.15., N1-3, Tbilisi 2000, p. 22-24.
2. Papukashvili A., Antiplane problems of theory of elasticity for piecewise-homogeneous orthotropic plane slackened with cracks. Bulletin of the Georgian Academy of Sciences, 169, N2, 2004. p. 267-270;

**Si mi saTvi s arawrfi vi integrō-diferenci aluri  
gant ol ebi s amoxsnis Sesaxeb**

გიორგი პაპუშვილი\*, ზვიად წიკლაური\*\*

\*თბილისის N 199 საჯარო სკოლა-პანსიონი « კომაროვი »,  
თბილისი, საქართველო,

\*\*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი,  
საქართველო, papukashvili@yahoo.com, zviad\_tsiklauri@yahoo.com

ნაშრომში განხილულია საწყის-სასაზღვრო ამოცანა  
კირხვეფის ტიპის ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებისთვის, რომელიც აღწერს სიმის სტატიკურ მდგომარეობას (იხ. [1]). ამოცანის ამოსახსნელად გამოყენებულია ჩიპო-როდრიგესის მეთოდი (იხ. [2]). ალგორითმი აპრობირებულია ტესტურ მაგალითებზე და თვლის შედეგები მოყვანილია გრაფიკების სახით.

**ლიტერატურა**


1. Kirchhoff G., Vorlesungen über Mechanik. Leipzig. Teubner, 1883.
2. Peradze J., Papukashvili GOn one method of the solution of a nonlinear integro-differential equation for a string. Reports of enlarged session of the seminar of I. Vekua institute applied mathematics. v.22., Tbilisi 2008, p. 91-93.

Sedgeni I i strukturis - "bagiri - Ski vis"  
kompiuterul i model i myari deformirebad  
tani s di skretul i warmodgeni s safuzvel ze

დავით პატარაია, ედიშერ წოწერია, გოორვი ნოზაძე,  
თეიმურაზ ჯავახიშვილი, გოორვი ჯავახიშვილი,  
რუსულან მაისურაძე, გოორვი ფურცელაძე  
გრიგოლ წელუქიძის სამთო ინსტიტუტი, თბილისი,  
საქართველო, [david.pataraya@gmail.com](mailto:david.pataraya@gmail.com)

სამუშაო წარმოადგენს სამთო ინსტიტუტი  
დამუშავებული ბაგირის გაანგარიშების ახალი მიდგომის  
მყარი დეფორმირებადი ტანის დისკრეტული მოდელის  
გავრცელებისა და გამოყენების ცდას განსხვავებულ  
მექანიკურ ობიექტებზე, კერძოდ, როული ბაგირ -  
დეროვანი სტრუქტურების და მასიური ტანების  
მოდელირებისა და გაანგარიშებისთვის. ამ მიდგომის  
გამოყენებით შედგენილია კომპიუტერული მოდელი და  
განხილულია გამოყენებითი მექანიკის რამდენიმე  
კლასიკური მაგალითი: დერძულად დატვირთული დეროს  
(ეილერის ამოცანა), მემბრანის, ორმხრივ ჩამაგრებული  
შეწყვილებული დეროს და ბადის (აფრის) მდგრადობა  
სტაციონარული დატვირთვის პირობებში.

